


„ბარამიძე ჰესის“ სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებული შენიშვნები



ანგარიში მოამზადა არსამთავრობო ორგანიზაციამ - საზოგადოება მდგრადი მომავლისთვის/Community for Sustainable Future - ფონდ ღია საზოგადოება საქართველოს ფინანსური მხარდაჭერით. ავტორების მიერ ტექსტში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა, არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას, შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.



თბილისი 2021

სარჩევი

შესავალი.....	2
საჯარო განხილვა.....	3
წარმოდგენილი ჰიდროლოგიური კვლევები	5
მდინარე ბარამიძისწყლის ჰიდროლოგია.....	5
წყლის გარემოსდაცვითი ხარჯის შეფასების პროცესი	6
ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებაზე	11
ნაკადულის კალმახი	11
წავი.....	12
არაქმედების ალტერნატივა	13
კუმულაციური ზემოქმედება.....	14
დანაწევრებული საქმიანობა.....	15
გამოყენებული ლიტერატურა.....	17

შესავალი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, სოფელ სურების მიმდებარედ, მდინარე ბარამიძისწყალზე დაგეგმილია 7.8 მგვტ დადგმული სიმძლავრის “ბარამიძე ჰესის” მშენებლობა. გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) კოდექსის თანახმად, საქმიანობა ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, შესაბამისად, საქმიანობის განმახორციელებელმა - კომპანია სს “სუფსა ენერჯიმ”, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში 2021 წლის 12 თებერვალს წარადგინა პროექტის სკოპინგის ანგარიში, რომელიც შემუშავებულია შპს “გამა კონსალტინგის” მიერ.

წარმოდგენილი სკოპინგის დოკუმენტის შესწავლისას გამოვლენილი ხარვეზები და შეუსაბამობები კანონმდებლობასთან განხილულია წინამდებარე დოკუმენტში.

საჯარო განხილვა

„ბარამიძე ჰესის“ მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა 2021 წლის 2 მარტს, დისტანციურად, ონლაინ პლატფორმა Webex-ის გამოყენებით. აღსანიშნავია, რომ 2021 წლის 1 მარტიდან, საქართველოს მთავრობის ამავე წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილებით¹, მოიხსნა ტრენინგებისა და შეხვედრების ჩატარების შეზღუდვა. თუმცა, ამის მიუხედავად, „ბარამიძე ჰესის“ პროექტის საჯარო განხილვა მაინც ონლაინ შედგა. ამასთან დაკავშირებით, გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივას“ შენიშვნის პასუხად, სამინისტრომ განმარტა, რომ უკვე დაგეგმილი შეხვედრის ფორმატის შეცვლა და ვადების დარღვევა ვერ მოხდებოდა.

თუმცა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ სამინისტროს არგუმენტს მხედველობაში მივიღებთ, მაინც სადავოა, მოხდა თუ არა პანდემიის პირობებში საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის მაქსიმალურად გავრცელება და შეხვედრაში დაინტერესებული საზოგადოების ეფექტიანი მონაწილეობის უზრუნველყოფა. აღნიშნულთან დაკავშირებით, „მწვანე ალტერნატივამ“ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვრცელი შენიშვნები² წარუდგინა.

შენიშვნებში ნათქვამია, რომ საჯარო განხილვის არაერთი მონაწილის მტკიცებით, ძალიან ბევრმა მსურველმა ვერ შეძლო შეხვედრაში მონაწილეობის მიღება შესაბამისი ტექნიკისა თუ ინტერნეტზე წვდომის არქონის გამო.

ამასთან, ხაზგასმულია, რომ პანდემიის პირობებში საჯარო განხილვებში საზოგადოების ეფექტიანი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, „გარემოსდაცვით საკითხებზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის შესახებ კონვენციის“ (ორჰუსის კონვენცია) შესაბამისობის კომიტეტმა ყაზახეთის მიმართვის საფუძველზე შეიმუშავა რეკომენდაციები

¹ საქართველოს მთავრობა. 2021. *ირაკლი ღარიბაშვილმა შეზღუდვების ეტაპობრივი შემსუბუქების გეგმა წარადგინა*. http://gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=556&info_id=78682

² მწვანე ალტერნატივა. (2021 წლის 8 მარტი). მწვანე ალტერნატივას კომენტარები და შენიშვნები „ბარამიძე ჰესის“ მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიშსა და ანგარიშის განხილვის პროცესზე.

პანდემიის განმავლობაში საჯარო განხილვების ონლაინ ჩატარებასთან დაკავშირებით.

რეკომენდაციების თანახმად, „საზოგადოების ჩართულობის შესაძლებლობა COVID-19-ის პანდემიის დროს კონკრეტული საქმიანობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, უნდა იყოს „თანმიმდევრული“ და შეესაბამებოდეს საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობებს ჩვეულებრივ დროში. ეს ნიშნავს, რომ შეიძლება საჭირო გახდეს საჯარო ხელისუფლების დამატებითი ძალისხმევა იმის უზრუნველსაყოფად, რომ პრაქტიკაში საზოგადოება არ აღმოჩნდეს წაგებიან მდგომარეობაში“. თუმცა, შენიშვნებში წარმოდგენილი არაერთი ფაქტი მოწმობს, რომ მთავრობის მხრიდან „ბარამიძე ჰესის“ სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვაზე საზოგადოების ეფექტიანი მონაწილეობისთვის ყველა შესაძლებელი ღონისძიება გატარებული არ ყოფილა. უფრო ვრცელ ინფორმაციას საჯარო განხილვის პროცესთან დაკავშირებით შეგიძლიათ გაეცნოთ „მწვანე ალტერნატივას“ შენიშვნების დოკუმენტში².

წარმოდგენილი ჰიდროლოგიური კვლევები

მდინარე ბარამიძისწყლის ჰიდროლოგია

მდინარე ბარამიძისწყალი ჰიდროლოგიური თვალსაზრისით შეუსწავლელია და არ არსებობს მდინარის ხარჯის შესახებ მრავალწლიანი მონაცემები. კომპანიის მიერ წარმოდგენილი პროექტის ერთ-ერთ მთავარ ნაკლოვანებასაც სწორედ ჰიდროლოგიური მონაცემების არარსებობის ფონზე მდინარის საშუალო წლიური ხარჯის შეფასება და გარემოსდაცვითი ხარჯის განსაზღვრა წარმოადგენს.

სანდო ჰიდროლოგიური კვლევებისა და მონაცემების არსებობა მნიშვნელოვანწილად განაპირობებს, როგორც ჰიდროელექტროსადგურის ეფექტიან ფუნქციონირებას, ისე ისეთი კრიტიკულად მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი ასპექტების გათვალისწინებას, როგორცაა მაგალითად: წყლის ეკოლოგიური ხარჯის სწორად განსაზღვრა თუ წყლისა და წყალზე დამოკიდებული სახეობების არსებობისათვის საჭირო ჰაბიტატებისა და მდინარის ეკოსისტემის შენარჩუნება.

როგორც სკოპინგის დოკუმენტიდან ირკვევა, პროექტზე მომუშავე საკონსულტაციო კომპანიისთვის ჰიდროლოგიური მონაცემების არარსებობა პრობლემას არ წარმოადგენს. ანგარიშში ნათქვამია, რომ “საშუალო წლიური ხარჯების სხვადასხვა უზრუნველყოფის სიდიდეები საპროექტო ჰესის სათავე ნაგებობის კვეთში, დადგენილია ანალოგის მეთოდით. ანალოგად აღებულია მდ. სუფსას მონაცემები ჰ/ს ჩოხატაურის კვეთში, რომელიც მდებარეობს საპროექტო უბნის სიახლოვეს”. ანალოგის მეთოდის გამოყენება და მდინარე ბარამიძისწყლის წლიური ხარჯების გამოთვლა მდინარე სუფსას მონაცემების მიხედვით, რომელიც გურიის ყველაზე წყალუბვი და განსხვავებული მახასიათებლების მქონე მდინარეა, რა თქმა უნდა, არ იძლევა სწორი პროგნოზირებისა და დაგეგმვის საშუალებას.

ჰიდროლოგიური კვლევების ჩატარება და გარემოსდაცვითი ხარჯის მეცნიერულად დასაბუთებული შეფასების განხორციელება ჰიდროენერგეტიკული ინფრაქტრუქტურის პროექტირების ციკლის მაქსიმალურად ადრეულ ეტაპზეა საჭირო, რასაც ადასტურებს 2017 წელს ევროკავშირის წყლის ჩარჩო-დირექტივის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით შემუშავებული “საქართველოს მდინარეების

გარემოსდაცვითი ხარჯის შეფასების მეთოდოლოგიის სახელმძღვანელოც³. სახელმძღვანელოს მიხედვით, “აღნიშნული პროცესი გაზრდის შედეგების სანდოობის დონეს, რითიც გამოირიცხება პროექტის განმახორციელებლების მხრიდან მათი სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირების შესაძლებლობა და ხელი შეეწყობა ადაპტაციურ მართვასა და მოთხოვნებთან პროექტის შესაბამისობის უზრუნველყოფას”.

თუმცა, “ზარამიძე ჰესის” პროექტის სკოპინგის ეტაპზე შემოთავაზებულია მდინარის გარემოსდაცვითი ხარჯის ზედაპირული შეფასება. ამის მიუხედავად, პროექტის ავტორი წინასწარ შეფასებებს აკეთებს და აცხადებს, რომ “დაგეგმილი ეკოლოგიური ხარჯი, სათავე ნაგებობის ქვედა ბიეფში არსებული შენაკადების გათვალისწინებით, საკმარისი იქნება მდინარეში მობინადრე ორგანიზმების ცხოველქმედებისთვის საჭირო მინიმალური პირობების შენარჩუნებისთვის”. ამასთან, ანგარიშში ნათქვამია, რომ ეკოლოგიური ხარჯის დამატებითი დასაბუთება და დაზუსტება მოხდება გზშ-ის ეტაპზე.

საქართველოში დამკვიდრებული პრაქტიკის გათვალისწინებით, ნაკლებ სავარაუდოა, რომ გზშ-ის ეტაპზე განხორციელებული “დამატებითი შეფასება” ფორმალობას გასცდეს და რაიმე ძირეული ცვლილება შეიტანოს ეკოლოგიური ხარჯის სიდიდეში, მითუმეტეს იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული 10-დან 15%-მდე ეკოლოგიური ხარჯი პროექტის გზშ-ის ეტაპზე გადაყვანის შედეგად უკვე შეთანხმებული და მოწონებულია ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ.

წყლის გარემოსდაცვითი ხარჯის შეფასების პროცესი

როგორც უკვე ვახსენეთ, ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში ევროკავშირის წყლის ჩარჩო-დირექტივის დანერგვის მიზნით, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით, 2017 წელს შემუშავებული იქნა “საქართველოს მდინარეების გარემოსდაცვითი ხარჯის შეფასების მეთოდოლოგია”. ევროკავშირის წყლის ჩარჩო-დირექტივის⁴ მიზანია ევროკავშირში წყლის ეკოსისტემების ხარისხის შენარჩუნება და გაუმჯობესება, რისი

³ დელოიტ ქონსალტინგი. (2017 წლის 10 აპრილი). საქართველოს მდინარეების გარემოსდაცვითი ხარჯის შეფასების მეთოდოლოგია.

⁴ The European Parliament. (2000, October 23). The EU Water Framework Directive - integrated river basin management for Europe. Retrieved from https://eur-lex.europa.eu/resource.html?uri=cellar:5c835afb-2ec6-4577-bdf8-756d3d694eeb.0004.02/DOC_1&format=PDF

მიღწევაც შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა უზრუნველყოფილია წყლის სათანადო ხარჯი.

ჭარბი წყალაღება წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ მიზეზს, რომელიც ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს ხელს უშლის ზედაპირული წყლის ობიექტების კარგი ეკოლოგიური სტატუსის მიღწევაში. ევროკავშირის დირექტივის მიხედვით, მიიჩნევა, რომ წყლის რაოდენობა და ხარისხი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. სწორედ ამიტომ, გარემოსდაცვითი ხარჯის კონცეფციას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს მდინარეების ჰიდროლოგიური რეჟიმის მნიშვნელოვანი ცვლილებების პრევენციის საქმეში³.

„წყლის ჩარჩო-დირექტივა“ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს და, მათ შორის საქართველოს, როგორც ასოცირების შეთანხმების მხარეს, აკისრებს წყლის ყველა ობიექტზე კარგი ეკოლოგიური სტატუსის მიღწევის ვალდებულებას.

ამის მიუხედავად, დღემდე დამკვიდრებული პრაქტიკით, გარემოსდაცვითი ხარჯის დათვლა საქართველოში ხდება საბჭოთა პერიოდის მიდგომებზე დამყარებული მეთოდით. ამ მეთოდის მიხედვით, მინიმალური ეკოლოგიური ხარჯი ფასდება ზედაპირული დაკვირვებით მიღებული ჰიდროლოგიური მონაცემების საფუძველზე და განისაზღვრება საშუალო წლიური ხარჯის დაახლოებით 10%-ით. გარემოსდაცვითი ხარჯის ეს რაოდენობა, რა თქმა უნდა, ძალიან მცირეა და არ ჯდება საერთაშორისო სტანდარტებში. გარემოსდაცვითი ხარჯის შეფასების მსოფლიოში, მათ შორის ევროპაში, გავრცელებული მეთოდების მიხედვით, წყლის ორგანიზმების სიცოცხლისა და გამრავლებისთვის საჭირო პირობების შესანარჩუნებლად, აუცილებელია, რომ მდინარეში დატოვებული იქნას ბუნებრივი საშუალო წლიური ხარჯის მინიმუმ 25 და მაქსიმუმ 50%³.

“ბარამიძე ჰესის” სკოპინგის დოკუმენტის მიხედვით, კომპანია წყლის ეკოლოგიურ ხარჯად 10-15%-ის დატოვებას გეგმავს, რაც ბუნებრივია არასაკმარისია მდინარის ეკოსისტემის ფუნქციონირებისა და აქ არსებული ბიომრავალფეროვნების, განსკუთრებით წყლის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისათვის და ამასთან, ვერ აკმაყოფილებს საქართველოს მდინარეების გარემოსდაცვითი ხარჯის დადგენის ახალი მეთოდოლოგიის სტანდარტებს.

“ბარამიძე ჰესის” პროექტის ფარგლებში მდინარე ბარამიძისწყალში დასატოვებელი გარემოსდაცვითი ხარჯის გამოთვლის შეუსაბამობა თანამედროვე მეთოდოლოგიასთან:

- როდესაც ეკოლოგიური ხარჯის სიდიდის შეფასებაზე ვსაუბრობთ, აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ გარემოსდაცვითი ხარჯი უნდა შეესაბამებოდეს წყლის ობიექტის ბუნებრივი ხარჯის დინამიკას, რათა უზრუნველყოფილი იქნას:
 - ბუნებრივი ნატანის გადაადგილების სეზონური ხასიათი და დამახასიათებელი შედგენილობის შენარჩუნება;
 - წყლის საკმარისი ნაკადი ქვირილობასთან დაკავშირებული მიგრაციების პერიოდში;
 - შესაბამისი კავშირი მიწისქვეშა წყლებთან;
 - ჟანგბადსა და ტემპერატურასთან დაკავშირებული წყლის ობიექტისათვის დამახასიათებელი პირობები და სხვ;

შესაბამისად, მდინარის ბუნებრივ კალაპოტში გასატარებელი გარემოსდაცვითი ხარჯის რეჟიმი უნდა შედგებოდეს არა ერთი და იმევე სიდიდის მუდმივი ეკოლოგიური ხარჯისგან მთელი წლის განმავლობაში, არამედ სხვადასხვა სიდიდის ხარჯისგან დროის სხვადასხვა მონაკვეთში მდინარის ეკოსისტემისა და ბიომრავალფეროვნების თავისებურებებისა და მიმდებარე ჰაბიტატების საჭიროებების გათვალისწინებით.

თუმცა, “ზარამიძე ჰესის” პროექტის სკოპინგის ანგარიშში შემოთავაზებული გარემოსდაცვითი ხარჯის სიდიდის შეფასებისას არ არის გათვალისწინებული ზემოაღნიშნული ფაქტორები და ეკოლოგიური ხარჯის ოდენობად მთელი წლის განმავლობაში დადგენილია წლიური ხარჯის 10-12%.

- **გარემოსდაცვითი ხარჯის დადგენა მხოლოდ მდინარის ჰიდროლოგიაზე დაყრდნობით არ შეიძლება.** ეკოლოგიური ხარჯის სწორად შეფასებისთვის ასევე გასათვალისწინებელია მორფოლოგიური, ფიზიკურ-ქიმიური, სოციალური და ეკოლოგიური ინფორმაციაც. ეს იმიტომ, რომ გარემოსდაცვითი ხარჯის სიდიდე (და ხარჯის სხვა კრიტერიუმები) დამოკიდებულია მდინარესა და მის სანაპირო დერეფანში არსებული (ან ისტორიულად არსებული) მცენარეთა და ცხოველთა ერთობლიობებისა და სახეობების ბიოლოგიურ ციკლებზე და ჰაბიტატთან დაკავშირებულ მოთხოვნებზე.

“ზარამიძე ჰესის” სკოპინგის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ და რა სახის მონაცემებზე დაყრდნობით იქნება შეფასებული საბოლოო გარემოსდაცვითი ხარჯის სიდიდე გზშ-ის ეტაპზე. მაღალი ალბათობით მოსალოდნელია, რომ საქართველოში დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, საბოლოო გარემოსდაცვითი ხარჯის განსაზღვრისას გათვალისწინებული იქნება მხოლოდ და მხოლოდ უხეშად დათვლილი, ნაკლები სანდოობის მქონე ჰიდროლოგიური მონაცემები.

- **გარემოსდაცვითი ხარჯის დადგენა** - ეს ხანგრძლივი და კომპლექსური პროცესია. ეკოლოგიური ხარჯის სწორად და ადეკვატურად შესაფასებლად საჭიროა გამოცდილი, კვალიფიციური და სხვადასხვა დარგის ექსპერტთა სამეცნიერო ჯგუფის ფორმირება.

გარემოსდაცვითი ხარჯის სრულყოფილად შესაფასებლად, ზოგადად, ერთი პროექტისათვის მინიმუმ 2-4 უბნის შესწავლაა საჭირო. თითოეული უბანი, როგორც მინიმუმ (დამოკიდებულია მდინარის სიგრძეზე) უნდა იყოს 50-100 მეტრის ტოლი. ეს არის ისეთი მინიმალური სიდიდე, რომელშიც წარმოდგენილია ჰაბიტატის მოდელირებისათვის საკმარისი პირობებისა და ჰაბიტატების სიმრავლე და რომელიც ადვილი სამართავია დროისა და რესურსების თვალსაზრისით.

უბნების ადგილმდებარეობა უნდა შეირჩეს იმგვარად, რომ ისინი იყოს მდინარის საკვლევი მონაკვეთის მაქსიმალურად რეპრეზენტატული. აუცილებელია, რომ ერთ-ერთი საკვლევი უბანი მდებარეობდეს პროექტის ქვედა ბიეფში, არა უშუალოდ ჰესის ინფრასტრუქტურის ქვემოთ, არამედ მისგან ისეთი მანძილის დაშორებით, სადაც ყველაზე მეტად ვლინდება ხარჯთან დაკავშირებული ზემოქმედებები.

ტრადიციული ცოდნა - გარემოსდაცვითი ხარჯის სწორად შესაფასებლად ადგილობრივების ტრადიციული ცოდნის გამოყენება, განსაკუთრებით ჰიდროლოგიური მონაცემების სიმწირის პირობებში, კრიტიკულად მნიშვნელოვანია.

სეზონური მონაცემები - აუცილებელია შერჩეული თითოეული უბნისთვის სეზონური მონაცემების შეგროვება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ჟანგბადით გაჯერებულობის, წყლის ხარისხისა და ტემპერატურული რეჟიმის პარამეტრები.

იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული მონაცემები არ მოიპოვება, საჭიროა სავლელე კვლევების ჩატარება. ამისათვის სასურველია, სინჯები გაკეთდეს მშრალ და წვიმიან პერიოდებში, რათა მოხდეს, როგორც დაბალი, ისე მაღალი ხარჯის პირობებში შესაბამისი წყლის ხარისხის განსაზღვრა.

“ბარამიძე ჰესის” სკოპინგის ანგარიშში გარემოსდაცვითი ხარჯის დადგენის პროცესის შესახებ არცერთი ზემოაღნიშნული საკითხის თაობაზე ინფორმაციას ვერ ვხვდებით. ანგარიშში ნათქვამია მხოლოდ ის, რომ მდინარის ეკოლოგიური ხარჯი დათვლილია არა უშუალოდ მდინარე ბარამიძისწყლის ჰიდროლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით (ასეთი მონაცემები ფიზიკურად არ არსებობს), არამედ მდინარე სუფსის მონაცემების მიხედვით, რაც სუფსას განსხვავებული ჰიდროლოგიური მახასიათებლებისა და პარამეტრების

გათვალისწინებით, დიდი ალბათობით აცდენილი იქნება მდინარე ბარამიძისწყლის რეალურ მონაცემებთან.

ანგარიშში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია არც იმის შესახებ, თუ რა სახის კვლევები იქნება ჩატარებული გზშ-ის ეტაპზე დაზუსტებული გარემოსდაცვითი ხარჯის დასადგენად, ვინ მიიღებს აღნიშნულ კვლევებში მონაწილეობას, რამდენ ხანს გაგრძელდება, რა სახის მონაცემების შეგროვება მოხდება და ა.შ.

იქიდან გამომდინარე, რომ გარემოსდაცვითი ხარჯის სანდოობა და სიზუსტე შეფასებისათვის გაწეული ძალისხმევისა და გამოყენებული რესურსების პროპორციულია, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ გზშ-ის ეტაპზე საქმიანობის განმახორციელებლის მიერ მოხდეს ეკოლოგიური ხარჯის სათანადოდ შეფასება და ყველა ზემოაღნიშნული საკითხის გათვალისწინება.

- აღსანიშნავია ისიც, რომ კომპანიის მიერ წყლის ხარჯის შეფასებისას ხაზია გასმული შემდეგ გარემოებაზე: „სათავე ნაგებობიდან მცირე მონაკვეთში მდ. ბარამიძისწყალს უერთდება საკმაოდ მოზრდილი შენაკადები. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით საპროექტო მონაკვეთის უმეტეს ნაწილზე დარჩენილი წყლის რაოდენობა იქნება განსაზღვრულ ეკოლოგიურ ხარჯზე მეტი. წინასწარი შეფასებით შეიძლება ითქვას, რომ დაგეგმილი ეკოლოგიური ხარჯი, სათავე ნაგებობის ქვედა ბიეფში არსებული შენაკადების გათვალისწინებით, საკმარისი იქნება მდინარეში მობინადრე ორგანიზმების ცხოველქმედებისთვის საჭირო მინიმალური პირობების შენარჩუნებისთვის”.

ზემოთ მოყვანილი არგუმენტი, რა თქმა უნდა, არ კმარა იმის დასამტკიცებლად, რომ სათავე ნაგებობის ქვედა ბიეფში არსებული შენაკადების არსებობა საკმარისი იქნება მდინარის ეკოსისტემის სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის. აღნიშნული მოსაზრება საკონსულტაციო კომპანიას მხოლოდ ზედაპირული შეფასების საფუძველზე აქვს გაკეთებული, რადგან არ აქვს მოყვანილი არცერთი ზუსტი მონაცემი და არ აქვს შესწავლილი შენაკადების ჰიდროლოგია. შესაბამისად, აუცილებელია, რომ გზშ-ის ეტაპზე სათანადოდ იქნას შეფასებული აღნიშნული შენაკადების ჰიდროლოგიური პოტენციალი და ამაზე დაყრდნობით მოხდეს საუბარი მათ დადებით გავლენაზე.

ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებაზე

ნაკადულის კალმახი

სკოპინგის დოკუმენტს მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე გავრცელებულია ნაკადულის კალმახი, რომელიც საქართველოს წითელი ნუსხის სახეობაა და წავი, რომელიც დაცულია, როგორც საქართველოს წითელი ნუსხით, ისე ბერნის კონვენციით.

ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ნაკადულის კალმახს არსებობისათვის წყალში ჟანგბადის მაღალი შემცველობა სჭირდება, ჩანჩქერები კი მდინარის ოქსიდაციის მთავარი მექანიზმია. სწორედ ამიტომ, ნაკადულის კალმახიც სწრაფ, ჩქერებიან მდინარეებს ეტანება. მდინარე ბარამიძისწყლის 4 კმ-იან მონაკვეთზე, იქ სადაც წყლის ხარჯის 90% სადერივაციო მილში გაივლის, ზემოხსენებული მახასიათებლების გაქრობა პირდაპირ იმოქმედებს ნაკადულის კალმახის პოპულაციაზე.

მნიშვნელოვანია ტემპერატურის ცვლილების საკითხიც. ნაკადულის კალმახი მთის ცივ მდინარეებში გვხვდება. წყლის ხარჯის 90%-ით შემცირება, ბუნებრივია გაზრდის დარჩენილი წყლის ტემპერატურას და ზემოაღნიშნულ ფაქტორთან ერთად (ჟანგბადის შემცველობის კლება) გრძელვადიან პერსპექტივაში საფრთხეს შეუქმნის ნაკადულის კალმახის პოპულაციის არსებობას არამხოლოდ ჰესის მონაკვეთში, არამედ ბარამიძისწყლის ზედა და ქვედა ბიეფშიც, რადგანაც შეზღუდავს სახეობის წარმომადგენელთა მიგრაციას, ნატანისა და საკვები ბაზის გადაადგილებას. აღნიშნული წინააღმდეგობაში მოდის კანონთან "საქართველოს წითელი წიგნისა და წითელი ნუსხის შესახებ"⁵. კანონის მე-11 მუხლით „აკრძალულია ყოველგვარი ქმედება, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველების დალუპვა, რაოდენობის შემცირება, მათი საბინადრო გარემოს, გამრავლების არეალის, გადარჩენის სტაციების, სამიგრაციო და წყალთან მისასვლელი გზებისა და წყლის სასმელი ადგილების დარღვევა“.

⁵ საქართველოს პარლამენტი. (2003 წლის 7 ივლისი). საქართველოს კანონი საქართველოს "წითელი ნუსხისა" და "წითელი წიგნის" შესახებ. მოპოვებული <https://matsne.gov.ge/ka/document/view/12514?publication=18-დან>

წავი

პროექტის განხორციელების შემთხვევაში, კიდევ ერთი სახეობა, რომელზეც მოსალოდნელი იქნება მაღალი უარყოფითი ზემოქმედება არის წავი (*Lutra lutra*), რომელსაც საქართველოს წითელი ნუსხა და ბერნის კონვენცია იცავს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დღეისათვის მთელს მსოფლიოში წავის პოპულაციის შემცირების ძირითადი მიზეზი მისთვის ხელსაყრელი ჰაბიტატის - მდინარის ეკოსისტემის დეგრადირება და საკვები ბაზის შემცირებაა. წავების ჰაბიტატზე მსგავსი სახის უარყოფითი ზემოქმედება კი ბარამიძე ჰესის პროექტის ამჟამინდელი სახით განხორციელების შემთხვევაში თვალნათელი იქნება.

არაქმედების ალტერნატივა

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის⁶ მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის “ბ” ქვეპუნქტის შესაბამისად, გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს: *“ინფორმაციას გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის ყველა გონივრული ალტერნატივის შესახებ, შესაბამისი დასაბუთებით, მათ შორის, უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივის შესახებ, რომელიც გულისხმობს საქმიანობის განუხორციელებლობის შემთხვევაში გარემოს არსებული მდგომარეობის ბუნებრივად განვითარების აღწერას, რომლის შეფასებაც შესაძლებელია არსებული ინფორმაციის გამოყენებით და მეცნიერულ ცოდნაზე დაყრდნობით”*.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების კოდექსის აღნიშნული პუნქტის მიუხედავად, “ბარამიძე ჰესის” სკოპინგის ანგარიშში უმოქმედობის ალტერნატივის განხილვისას ქვეთავის ძირითადი ნაწილი დათმობილი აქვს ჰესის ექსპლუატაციაში შესვლის შემდგომ მოსალოდნელი ეკონომიკური და სოციალური სარგებლის მიმოხილვას. აქედან გამომდინარე, ნულოვანი ალტერნატივა კომპანიას გამორიცხული აქვს არა საპროექტო ტერიტორიის ბუნებრივი სახით განვითარების ნაკლები სარგებლიანობიდან, არამედ მოსალოდნელი სოციალური და ეკონომიკური სარგებლიდან გამომდინარე, რაც გარემოზე ზემოქმედების შეფასების კოდექსის მოთხოვნის დარღვევად შეგვიძლია მივიჩნიოთ. ამასთან, არ არის მიზანშეწონილი აღნიშნულ თავში ენერგოდამოუკიდებლობის საკითხით აპელირება. კომპანია აღნიშნავს, რომ „ენერგოდეფიციტურ თვეებში (იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი და დეკემბერი) ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის 100%-ის რეალიზაცია უნდა მოხდეს ადგილობრივ ბაზარზე, აქედან გამომდინარე ჰესის ექსპლუატაციაში შესვლა გაზრდის ყოველი წლის 8 თვის პერიოდში თბოგენერაციის და ელექტროენერჯის იმპორტის ჩანაცვლების პერსპექტივებს და შესაბამისად ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის მიღწევის შესაძლებლობას“. აღნიშნულ თავში მსგავსი კომენტარების არსებობა აჩენს ეჭვს, რომ კომპანია მანიპულირებს ენერგოდამოუკიდებლობის, ეკონომიკური და სოციალური საკითხებით და არ აქვს კონკრეტული პასუხი არაქმედების ალტერნატივასთან დაკავშირებით.

⁶ (საქართველოს პარლამენტი, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი, 2017)

კუმულაციური ზემოქმედება

“ბარამიძე ჰესის” სკოპინგის ანგარიშში უგულებელყოფილია კუმულაციური ზემოქმედების საკითხიც.

როგორც თავად ჰესის სკოპინგის ანგარიშის კუმულაციური ზემოქმედების ქვეთავშია აღნიშნული, კუმულაციური ზემოქმედების შეფასების მთავარი მიზანია პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების ისეთი სახეების იდენტიფიცირება, რომლებიც როგორც ცალკე აღებული არ იქნება მასშტაბური ხასიათის, მაგრამ სხვა - არსებული, მიმდინარე თუ პერსპექტიული პროექტების განხორციელებით მოსალოდნელ ზემოქმედებასთან ერთად გაცილებით მაღალი უარყოფითი შედეგების მომტანია.

თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ “ბარამიძე ჰესის” ზედა და ქვედა ბიეფში არცერთი ჰესი არ მდებარეობს და არც დაგეგმილია ბარამიძისწყალზე “ბარამიძე ჰესის” გარდა კიდევ სხვა ჰესების მშენებლობა, სკოპინგის ანგარიშში ვკითხულობთ დასკვნას, რომ “დაგეგმილი საქმიანობის განხორციელება კუმულაციური ზემოქმედებასთან დაკავშირებული არ იქნება”.

კუმულაციური ზემოქმედების შეფასების არსისა და მიზნის გათვალისწინებით, ზემოაღნიშნული დასკვნის გაკეთება, რა თქმა უნდა, გაუმართლებელია.

მიუხედავად იმისა, რომ საპროექტო “ბარამიძე ჰესის” ზედა და ქვედა ბიეფში ექსპლუატაციაში მყოფი ჰესები არ მდებარეობს და ამჟამინდელი მდგომარეობით არც მომავალში იგეგმება ჰესების პროექტების განხორციელება, საუკეთესო გამოცდილებისა და ევროკავშირის დირექტივის⁷ (Directive 2014/52/EU amending Directive 2011/92/EU) მიხედვით, პროექტის განმახრციელებელი ვალდებულია გამოავლინოს და ერთიანობაში შეაფასოს ყველა იმ საქმიანობის პოტენციური თუ არსებული ზემოქმედება, რომელიც “ბარამიძე ჰესის” დაგეგმილ პროექტთან ერთად მდ. ბარამიძისწყალზე, მის ბიომრავალფეროვნებასა და მიმდებარე ეკოსისტემებზე ახდენს ან სამომავლოდ მოახდენს უარყოფით ზეგავლენას.

პროექტის კუმულაციური ზემოქმედების სრულყოფილად შესაფასებლად კი საკმარისი არ არის მხოლოდ გეგმარებითი ჰესების მშენებლობის ზემოქმედების

⁷ The European Parliament. (2014, April 14). DIRECTIVE 2014/52/EU OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL amending Directive 2011/92/EU on the assessment of the effects of certain public and private. Retrieved from <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32014L0052>

გათვლა. კუმულაციური ზემოქმედების დასათვლელად უნდა შეფასდეს არამხოლოდ მსგავსი ტიპის პროექტების განხორციელების შედეგად მიღებული ერთიანი ეფექტი, არამედ სხვა ნებისმიერი ტიპის აქტივობა, რომელიც მიმდინარეობს ან სამომავლოდ შეიძლება განხორციელდეს საპროექტო ტერიტორიაზე, მათ შორის, ბუნებრივი რესურსების მოპოვების ლიცენზიების მოქმედება, დამაბინძურებელი საწარმოების ფუნქციონირება და სხვ.

მართალია, სკოპინგის ეტაპზე კომპანიას შესაძლოა ვერ მოვთხოვოთ კუმულაციური ზემოქმედების შესაფასებლად ჩატარებული ჰქონდეს საფუძვლიანი კვლევები, თუმცა მას სულ მცირე იდენტიფიცირებული მაინც უნდა ჰქონდეს კუმულაციური ზემოქმედების გამომწვევი საქმიანობები, რომელთა ხარისხსაც შეაფასებს გზმ-ს ფაზაში.

დანაწევრებული საქმიანობა

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი ზოგადი ინფორმაციის მიხედვით პროექტის შესახებ, ჰიდროკვანძის შემადგენლობაში ჰესისთვის აუცილებელ ძირითად ნაგებობებთან ერთად შეყვანილია მაღალი ძაბვის ელ. გადამცემი ხაზი (110 კვ). თუმცა, კომპანია აღნიშნავს, რომ მაღალი ძაბვის ელ. გადამცემი ხაზი (110 კვ) დაპროექტდება მომდევნო ეტაპზე და მასზე დამოუკიდებლად განხორციელდება გზმ-ს პროცედურა: „გამომუშავებული ელექტროენერგია მიეწოდება 110 კვ ღია სატრანსფორმატორო ქვესადგურს, საიდანაც 110 კვ ძაბვის ელ. გადამცემი ხაზის მეშვეობით, მიუერთდება 110 კვ ოზურგეთი-ზოტი ჰესის საპროექტო ელ. გადამცემ ხაზს. 110 კვ ოზურგეთი-ზოტი ჰესის ელ. გადამცემი ხაზის მშენებლობა იგეგმება სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ, საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის მიხედვით, წინამდებარე სკოპინგის და შემდგომ გზმ-ის ანგარიშში არ გულისხმობს აღნიშნული ეგხ-ის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, ეგხ-ის პროექტი დამოუკიდებლად გაივლის გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებულ პროცედურებს“.

აღნიშნული მიდგომა, რა თქმა უნდა, არასწორია. ელექტროგადამცემი ხაზები ნებისმიერი ჰესის ინფრასტრუქტურის აუცილებელი შემადგენელი კომპონენტია, რომელმაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა შეიძლება იქონიას გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე - გამოიწვიოს ჰაბიტატების დეგრადაცია და ფრაგმენტაცია, შექმნას შემაწუხებელი ფაქტორები ბიომრავალფეროვნებისთვის, განსაკუთრებით ფრინველებისთვის და ა.შ. შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედების შეფასებისას

აუცილებელია სათანადოდ იყოს შესწავლილი ელ.გადამცემი ხაზების მოწყობით გამოწვეული ზემოქმედება და შეფასდეს აღნიშნული ზემოქმედება კუმულაციურად სხვა სახის ზემოქმედებებთან ერთად.

ნათელია, რომ ელ.გადამცემი ხაზების პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების დამოუკიდებლად ჩატარება ვერ მოგვცემს იმის შესაძლებლობას, ერთიანობაში დავინახოთ “ბარამიძე ჰესის” პროექტის ზემოქმედება გარემოზე და ის ემსახურება ერთადერთ მიზანს, შეამსუბუქოს პროექტით გამოწვეული ზემოქმედება. აღსანიშნავია, რომ მსგავსი “უარყოფითი პრაქტიკა”, რომელსაც ხშირად უწოდებენ **“Salami Slicing”**-ს, ანუ დიდი პროექტების მცირე პროექტებად დანაწევრებას, საქართველოში ფართოდაა დამკვიდრებული და თითქმის ყველა ჰესის პროექტის შეფასებისას, ეგზ-ის გარემოზე ზემოქმედება ფასდება დამოუკიდებლად.

გამოყენებული ლიტერატურა

The European Parliament. (2000, October 23). The EU Water Framework Directive - integrated river basin management for Europe. Retrieved from https://eur-lex.europa.eu/resource.html?uri=cellar:5c835afb-2ec6-4577-bdf8-756d3d694eeb.0004.02/DOC_1&format=PDF

The European Parliament. (2014, April 14). DIRECTIVE 2014/52/EU OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL amending Directive 2011/92/EU on the assessment of the effects of certain public and private. Retrieved from <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32014L0052>

დელოიტ ქონსალტინგი. (2017 წლის 10 აპრილი). საქართველოს მდინარეების გარემოსდაცვითი ხარჯის შეფასების მეთოდოლოგია.

მწვანე ალტერნატივა. (2021 წლის 8 მარტი). მწვანე ალტერნატივას კომენტარები და შენიშვნები „ბარამიძე ჰესის“ მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიშსა და ანგარიშის განხილვის პროცესზე.

საქართველოს პარლამენტი. (2003 წლის 7 ივლისი). საქართველოს კანონი საქართველოს "წითელი ნუსხისა" და "წითელი წიგნის" შესახებ. მოპოვებული <https://matsne.gov.ge/ka/document/view/12514?publication=18>-დან

საქართველოს პარლამენტი. (2017 წლის 26 ივნისი). გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი. მოპოვებული <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3691981?publication=7>-დან